ახალი
# განთიადი

„შეძნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2021 წელი 28 ივნისი № 6 № 8169



განთიადი

90-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com



## მობილური ახალგაზრდული საქმიანობა კასპის მუნიციპალიტეტში

გვ2.



## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021

გვ2.



## საბავშვო ბაღები – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

გვ2.

გვ2.

## სოფელ ზემო რენეში

გვ6.

## ჩემი პირველი



## წლიდან წლამდე

## ნადაგი დღეების ყვალოდაყვალ

გვ9.

## გზების კეთილმოწყობა გრძელდება

გვ4.



## სოფელ ქვემო ჭალაში

გვ2.

## ერევნიდან – მედლებით და ... ქამრით

გვ7.

## წულუკიძის ქუჩის მოასფალტება

გვ4.

## სოფელ იგოეთში

გვ2.

## „შილდა ქართულის თასი 2021"

გვ4.



## სამი გული ერთი სცენისათვის

გვ3-5.





## „ახალი განთიადი" – 90!

## პოლიგრაფისტი

გვ3.




გახდით ჩვენი მკითხველი!

გვ7.

## კიკბოქსინგი



გამოიწერეთ „ახალი განთიადი"





## მობილური ახალგაზრდული საქმიანობა კასპის მუნიციპალიტეტში

კასპის მობილური ახალგაზრდული მუშაკები და კასპის მერი ვახტანგ მაისურაძე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

გვანცა მეზვრიშვილმა და დავით პარკაძემ წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს პროგრამა და პროექტის მიზნები, ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობასა და მათ მხარდაჭერაზე პროექტში “უნარები წარმატებისთვის”. წარმომადგენლების ჩართულობა პროექტის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანია, მათ უკეთ იციან ადგილზე ახალგაზრდების პრობლემები, მოთხოვნები, უნარები, რაც სამომავლო მუშაობაში აუცილებელი და გასათვალისწინებელია.

ვახტანგ მაისურაძემ კიდევ ერთხელ გამოხატა ურთიერთთანამშრომლობის სურვილი და თანადგომა. მან წარმომადგენლებს მოუწოდა კასპის მობილური ახალგაზრდული მუშაკების ადგილზე დახმარებისა და მათ სამოქმედო ტერიტორიებზე ახალგაზრდების პროექტში ჩართულობისკენ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ორი წლის განმავლობაში იმუშავებენ მობილური ახალგაზრდული მუშაკები, რომლებიც თითოეული სოფლის ახალგაზრდებთან ერთად დაგეგმავენ და განახორციელებენ ახალგაზრდულ ინიციატივებს. კასპის მუნიციპალიტეტის მერია წარმატებებს გისურვებთ.

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტში პროექტების განხორციელება გრძელდება.

სოფელ ქვემო ჭალაში, სოფლის ცენტრში მდებარე სარწყავი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. არხის გაწმენდის შემდეგ მოეწყობა რკინა-ბეტონის ანაკრები ღარები და გადაიხურება რკინა-ბეტონის ცხაურებით.

სამუშაოებს შპს “საქართველოს ჯგუფი” ახორციელებს.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

## საბავშვო ბაღები - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად

### სოფელ იგოეთში

სოფელ იგოეთის ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები, რომელიც დასრულების პროცესშია, კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მისმა



მოადგილემ დავით ქისიშვილმა დაათვალიერეს.

სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება წლების განმავლობაში არ არსებობდა, სოფელ იგოეთის და მრგვალი ჭალის ბავშვები მეზობელი სოფლის საბავშვო ბაღში დადიან.

ორსართულიან შენობაში მოწყობილია საძინებლები, გასართობი



ოთახები, სველი წერტილები და დარბაზი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა ორ ჯგუფზეა გათვალისწინებული, ადაპტირებულია შშმ პირთათვის და უზრუნველყოფილია უსაფრთხოების სისტემით. შენობაში იფუნქციონირებს ლიფტი.

საბავშვო ბაღის მშენებლობის ღირებულება 696 326 ლარია, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

ჩვენი პატარები საუკეთესო პირობებში უნდა იზრდებოდნენ. ჩვენ ვზრუნავთ მათი კომფორტული გარემოს შესაქმნელად - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

### სოფელ ქვემო ჭალაში

სოფელ ქვემო ჭალაში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული. შენობაში შეიცვ-



ალა კარ-ფანჯარა, ელექტრო და სანიტარული კვანძები, გაილესა შენობის შიდა და გარე კედლები, მოეწყო გათბობის სისტემა, დასრულების პროცესშია ჭერის და მეტლახის, კაფელის დაგება. ამჟამად მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები და კეთილმოეწყობა ეზო.

აღნიშნული საბავშვო ბაღის სამუშაოებს სს “სამშენებლო ტრესტი №3” ახორციელებს, მისი ღირებულება 284 988 ლარია. მშენებლობა რეგიონალური განვითარების ფონდისა და კასპის



მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

განახლებული შენობა 7 სოფლის აღსაზრდელებისა და პედაგოგების პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მათგან 4 სოფელი მაღალმთიანია, 5 კი გამყოფი ხაზისპირა.

მუნიციპალიტეტში ამჟამად სამი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულების პროცესშია, ხოლო სოფელ ზემო რენეში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს - აღნიშნა სოფელ ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის სამუშაოების დათვალიერების დროს კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

### სოფელ ზემო რენეში

კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო რენეში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მისმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის დასრულების შემდეგ თანამედროვე სტანდარტებს დაქვემდებარებულ და აღჭურვილ 2-ჯგუფიან საბავშვო ბაღში, 8 სოფლის ბავშვები სკოლამდელ განათლებას კომფორტულ გარემოში მიიღებენ. ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 8 სოფლიდან 4 გამყოფი ხაზისპირაა, 3



კი მაღალმთიანი სტატუსის მქონე. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული - შექმნილია დამატებითი სამუშაო ადგილები. სამუშაოების ღირებულება 684 112 ლარია და ფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ.

მერიის პრიორიტეტი ბავშვების კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნაა. ახალ სასწავლო წელს, ახალ საბავშვო ბაღებში იზეიმებენ სოფელ იგოეთის, მეტეხის და გრაკლის პატარა აღსაზრდელები.

სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ქვემო ჭალის საბავშვო ბაღში.

# პოლიგრაფისტი

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ბეჭდური სიტყვისა და პოლიგრაფიული სფეროს, დასტურ, ღვაწლმოსილ მუშაკს — ილია გორგაძეს წლევანდელი მარტის დასაწყისში დაბადებიდან 83 წელი შეუსრულდა!

... პატარა ილიკო რვა წლისა იქნებოდა, ფრონტელი მამა რომ დაეღუპა ლამის მთელ მსოფლიოს მოდებული დიდი ომის გზებზე: სოფელ ზემო ხანდაკის ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და მერე სასოფლო საბჭოს თავკაცმა, ივანე გორგაძემ იმდენი ქნა, დაჟინებული თხოვნით მიაღწია ფრონტზე წასვლას. რამდენჯერმე დაჭრილმა და სიკვდილგამოსხლეტილმა გერმანიის დედაქალაქს უწია და იქ, ბერლინის მისადგომებთან, მაინც დაეწია მტარვალის ტყვია 1945 წლის 20 აპრილის შემდგომ დღეებში (მის მიერ შინ გამოგზავნილი ბოლო სამკუთხა ბარათის იმედიან სტრიქონებს სწორედ ეს თარიღი უზის).

ასე და ამგვარად, მამით დაობლებული ბიჭი საყვარელ დედას ნაადრევად ამოუდგა მხარში, რათა მისთვის საოჯახო საქმიანობაში ხელი წაეხმარებინა, საერთო ყოფა შეემსუბუქებინა და ჭაბუკური მარჯვენით საკუთარი სარჩოც გაეჩინა.



1955 წელს ილია გორგაძემ ქ. თბილისის პოლიგრაფიის სასწავლებელი დაამთავრა ლინოტიპისტის სპეციალობით. 17 წლის ყოჩაღი კურსდამთავრებული სასწავლებლის დირექციამ განაწილების საგზურით ქ. ცხინვალის სტამბაში გაგზავნა. იმჟამად იქ იბეჭდებოდა საოლქო გაზეთი "საბჭოთა ოსეთი".

მოხდა ისე, რომ იქიდან მალე უხმეს მშობლიურ რაიონში — კასპში გამომავალი სარაიონო გაზეთის — "კომუნიზმისაკენ" — სტამბაში სამუშაოდ. 1961-63 წლების მონაკვეთში, მისი რეორგანიზაციის გამო, ქ. მცხეთაში მიავლინეს, ხოლო 1965 წლიდან, როცა კასპში კვლავ განახლდა ადგილობრივი გაზეთის გამოცემა, ილია გორგაძე ისევ ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა და სწორედ აქ, ჯერ პირველი მაისის და მერე წერეთლის ქუჩებზე მდებარე სტამბებში ხელგარჯილობდა ლინოტიპის ჩამომსხმელ დანადგართან, 1993 წლამდე, ვიდრე საპენსიო ასაკი შეუსრულდებოდა.

თითქმის 40 წელი! — აი, რამდენი ხანი ემსახურა ბეჭდური სიტყვის გამოცდილი და კვალიფიციური ოსტატი ერთხელ არჩეულ საპატიო საქმიანობას — გაზეთის გამოცემის საქმეს!

ილია გორგაძე ამჟამად კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკში ცხოვრობს.

რამდენიმე წელია, რაც მეუღლე დაეღუპა, მაგრამ მარტოობისათვის არც სამი შვილი და არც შვილიშვილები იმეტებენ.

კიდევ, არ გაგიკვირდეთ და, იგი ერთ ჭერქვეშ ბინადრობს მისთვის ყველაზე სათაყვანო და ფრიად ხანდაზმულ, საუკუნის მხრებითმტარებელ ადამიანთან — 103 წლის დედასთან, ეფემია გეჯაძე–გორგაძესთან ერთად!

კავკასიურ ჯანმრთელობას გისურვებთ.

## რედაქტორის აზრით

# დროის ფასი

დრო ყველაზე ძვირფასი საუნჯეა და დიდი გაფრთხილებაც სჭირდება. ალბათ ყოველ ადამიანს ცხოვრების რომელიმე საფეხურზე მწარე სინანულით გაუხსენებია სიყმაწვილეში სრულიად უქმად გაფლანგული დღეები, კვირეები და თვეებიც კი. ოღონდ ეგ არის, ჭირს ხშირად ერთმანეთისაგან გაარჩიო ნაყოფიერად გამოყენებული დრო ცუდსაქმიანობაში ან მოჩვენებით ფუსფუსში გატარებულისაგან.

დროის ფასი განუზომლად დიდია. რა ჭარბადა გვაქვს იგი ადრეულ სიჭაბუკეში და რა მძაფრად განვიცდით მის დეფიციტს მოწიფულობის ჟამს. დრო არ გვყოფნის წიგნის წასაკითხად, სპექტაკლზე დასასწრებად, კინოფილმის სანახავად, სოფელში მარტოდ დარჩენილი მშობლების მოსანახულებლად, თანაკლასელთა ან თანაკურსელთა ტრადიციულ შეკრებაზე მისასვლელად, შვილების პირველი სპორტული წარმატებით გამოწვეული სიხარულის გასაზიარებლად, მეუღლისათვის ყვავილების დასაკრეფად, ბუნების სილამაზით დასატკბობად და სხვა. მაგრამ არც თუ იშვიათად ასაკმილწეული და საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული ადამიანების დრო რა უქმად იფლანგება, იკარგება აუნაზღაურებლად.

რამდენჯერ გვინახავს სამუშაო ტანსაცმლით ქარხნის ადმინისტრაციულ კორპუსში მოსიარულე მუშა, რომელმაც ალბათ ჩარხი ან დაზგა მიატოვა და ერთი კაცის ხელმოწერისათვის კაბინეტიდან კაბინეტში, საამქროდან საამქროში, კორპუსიდან კორპუსში უნდა ირბინოს; ანდა, 3 წუთის საქმეზე ხარ მისასვლელი, 15 წუთი ავტობუსს უნდა ელოდო, 15 წუთიც იმას, რომ პასუხისმგებელმა პირმა ტელეფონით საუბარი დაამთავროს და გავიდა მთელი საათი... არც ისაა იშვიათი, კბილატკივებული მუშა სამსახურიდან ხვეწნითა და მუდარით დაეთხოვა. ექიმთან რომ მოხვდეს, გვარიანი დრო ანკეტის მოძებნასა ან ახლის შევსებაში უნდა დაიკარგოს. რამდენ დროს ვაცდენთ, როცა კრებებზე, თათბირებზე, ან სხვა სახის საზოგადო თავყრილობაზე ერთ უდისციპლინო მუშაკს ველოდებით. საკმაოდ სოლიდური და მასშტაბური შეკრებებიც კი, როგორც წესი, დანიშნულზე 20-30 წუთით გვიან იწყება, ხანდახან დანიშნულ დროს აცილებენ კინოს, თეატრის და კონცერტის დაწყებასაც.

დრო ულმობელია, უკანმოუხედავად მიჰქრის, მას ველარაფრით ვეღარ დააბრუნებ. დღეის გასაკეთებელი სრულყოფილად ხვალ ვეღარ გაკეთდება. ამიტომაც დიდი უნარია დროის სწორი, ნაყოფიერი ორგანიზება. ნოდარ დუმბაძე იგონებს: "თვალადზე ვსტუმრობდი გიორგი შატბერაშვილთან, მისი ხელით გამოთლილი და გამოჩორკნილი საგნები რომ ვიხილე, ვკითხე — სად გქონდათ ამდენი თავისუფალი დრო, ბატონო გიორგი! ჩაიცინა და მომიგო: — თავისუფალი დრო არ არსებობს, ყველაფერს თავისი დრო აქვსო". ჭეშმარიტი ნათქვამია, მაგრამ ძალზე ძნელია ისწავლო დროის განაწილება ისე, რომ იგი ყველაფრისათვის გეყოს.

პატივი ეცით დროს! არა მხოლოდ თქვენსას, არამედ სხვებისასაც, რადგანაც ქვეყნისთვის სასარგებლო დროს ყველა ჩვენგანის ერთად აღებული ნაყოფიერი დრო შეადგენს.

თამაზ შეშაბერიძე.

## ქართული კულტურის მსახურები: ოჯახური დინასტიები

# სამი გული ერთი სცენისათვის

წლევანდელ მაისში დაბადებიდან ლამაზი, ე. წ. "მრგვალი" თარიღი შეუსრულდა მერი მამუკაძეს — ქართული კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს (საპატიო წოდება 2019 წელს მიენიჭა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ — კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის); ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარს (იმავე წელს მიენიჭა ქართული ქორეოგრაფიული კავშირის მიერ — ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის).

ქვემოთ შემოგთავაზებთ იუბილარი ქალბატონის შემოქმედებით პორტრეტს, ვისაც ქართული ქორეოგრაფიის ღვაწლმოსილებაში ნახევარი საუკუნე (51 წელი!) 2021 წლის სექტემბერში უსრულდება.

ჩვენი მქუხარე ოვაციები თქვენ — ქალბატონო მერი!

✦

### ამბავი პირველი მამუკაძეების

წინაპრებად გაქართლებული მესხეთელები ითვლებიან. ისინი ოდინდელ დროებას თეძმის ხეობაში გადმოუყვანია. მათი საგვარეულოს ძველკაცები აქ, გარიყულასა და ერთაწმინდის დალოცვილ სანახებში, სახლობდნენ.

ისინი, ეროვნული მუსიკისადმი მიდრეკილნი, უჭირდათ თუ ულხინდათ, საცხოვრისის ყოველდღიურ ყოფას იქარვებდნენ და იხალისებდნენ და ქართულ ხალხურ საკრავებსაც ისევე მარჯვედ მოიხმარდნენ, როგორადაც საბრძოლო-საომარ თუ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს იყენებდნენ.

ძველქართულ დროებაში არც ჭირი ეგებოდა და არც ლხინი გაეწყობოდა, უმუსიკოდა და უმღერებლად, უცეკვაოდა და ხელებგაუშლელად!

... მამუკაძიაანთ 17 წლის იოსები, როგორც იტყვიან, თეძმის ხეობიდან თბილისამდე სულ ცეკვა-ცეკვით ჩავიდა. მაშინ, გასული საუკუნის 30-იან წლებში, დედაქალაქში სახელი დაეგდო "ნაძალადევის კლუბის" ანსამბლს. მისი სულისჩამდგმელები იყვნენ ქართული ქორეოგრაფიის იმხანად ცნობილი მაესტროები ჯანო ბაგრატიონი (უფროსი) და კოტე (კოწო) მანჯგალაძე. აი, ვის დაემოწაფებოდა ერთაწმინდელი ჭაბუკი! მას ნამდვილად ძალუძდა არა მარტო ნაძალადევის, სხვა ნებისმიერი დიდ-პატარა კლუბების სცენაზე ცეცხლის დანთება, მათი ფიცარნაგების დაჭაშნიკება ღონიერი ცერებითა და ძლიერი ტერფებით: — რა იატაკი უძლებსო მის ცეცხლოვან ცეკვებს! — ჰკვირობდა იოსების შემყურე მაყურებელი. და, მეტადრე მაშინ, როცა ბაგრატიონ-მანჯგალაძის გოგო-ბიჭები საქართველოს ფარგლებს გარეთ გადიოდნენ და, ვთქვათ, საბჭოეთის დიდ ქალაქებში დესპანობდნენ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას.

ესოდენ შეფასებაში ზეაღტაცებული მაჟორული ნოტა არაა შეპარებული. აგერ, ფაქტი: წინარე საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში ნაძალადეველთა ანსამბლი საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში წარიგზავნა ქართული კულტურის დღეების პროგრამით. მისი ყველა წევრი ჯილდოთი დასაჩუქრდა. მან, იოსებ მამუკაძემ, ჰონორარის მანეთებით იქვე სამახსოვროდ შეიძინა მოდური შარვალ-კოსტუმი და თბილისში ძვირფას დედას ლამაზად გამოწყობილი გამოეცხადა. ყოჩაღ მის კაი შვილობას! — იოსებმა მას მოსკოვიდან საგანგებოდ შერჩეული საკაბე ძვირფასი ქსოვილი მიართვა!

მერე... მერე რა მოხდა? — "ჰიტლერის ომი" გაჩაღდა!

როგორადაც უწინ, მეფე ერეკლე მეორის დროებაში, სამეფო კარის "მაიორი მაჩაბლის დასის" წევრები მტერს რომ ეკვეთნენ საბრძოლო ველზე, "ნაძალადევის კლუბის" ანსამბლის ბიჭებმაც დროებით უგანეს სცენას და საფრონტო გრძელ გზებს დაადგნენ.

22 წლის მოცეკვავე იოსებ მამუკაძე, როგორა

დასასრული გვ-5.

# გზების კეთილმოწყობა გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მისმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა



სოფელ თელადგორის მისასვლელი გზიდან 700 გრძივი მეტრის ასფალტირების სამუშაოები დაათვალიერეს.

მუნიციპალიტეტში ვაგრძელებთ მისასვლელი გზების კეთილმოწყობას. ფინანსური საშუალებებიდან გამომდინარე ეტაპობრივად, დარჩენილი სოფლების მისასვლელ გზებსაც მოვაწესრიგებთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია სოფლების განვითარებისათვის - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

# წულუკიძის ქუჩის მოასფალტება

კასპში წულუკიძის ქუჩის რეაბილიტაცია-მოასფალტების სამუშაოები გრძელდება. ქუჩაზე ამჟამად სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს.

გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "დინ გრუპი" ახორციელებს. ღირებულება 1 223 780 ლარია, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდის და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

წულუკიძის ქუჩის მიმდებარე შარიფაშვილის, ყაზბეგის, წერეთლის და გურამიშვილის ქუჩებიც მოასფალტდება. ჯამში ხუთივე ქუჩის ღირებულება 889 991 ლარია.

ქუჩების კეთილმოწყობა მნიშვნელოვანია, მოძრაობა გახდება უსაფრთხო და კომფორტული, შემცირდება ავტოტრანსპორტით გადაადგილებისათვის საჭირო დროც.



**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.**

# "შიდა ქართლის თასი 2021"



სპორტულ ცეკვებში თანაბარი ჰარმონიულობითაა შერწყმული მსუბუქი ათლეტიკისა და ქორეოგრაფიულ-მუსიკალური მხატვრული ელემენტები.

სპორტის ეს ულამაზესი სახეობა, როგორც სასწავლო დისციპლინა და საშეჯიბრო სახეობა, მოიცავს ფიზიკური ვარჯიშებისა და პროგრამული ცეკვების საბაზო ელემენტების კომპლექსს, აგრეთვე აუცილებელ თეორიულ-ტერმინოლოგიურ ინფორმაციას საბაზო ელემენტებისა და შესრულების ტექნიკის შესახებ და თვით ცეკვების ირგვლივ მოკლე ისტორიულ ცნობებს.

სპორტული ცეკვები არის სპორტის ის სახეობა, რომელშიც თანაბარი წარმატებით შეუძლია მონაწილეობა ყველა ასაკის წარმომადგენელს.

მაისის მიწურულს კასპში ჩატარდა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების კონკურსი "შიდა ქართლის თასი 2021". მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ჭიათურის, საჩხერის, დმანისის, რუსთავის, ხაშურის, მცხეთისა და თბილისის სტუდიებმა; სულ წარმოდგენილი იყო 200 მონაწილე.

კონკურსის ორგანიზატორი იყო საქართველოს სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაციის შიდა ქართლის კურატორი, სტუდია "მზის სხივის" ქორეოგრაფი გიორგი მჭედლიშვილი.

წელს კონკურსი უკვე მესამედ ჩატარდა. პირველად ეს მოხდა 2018 წელს. 2019 წელს ყველაზე მეტი მონაწილე ჰყავდა შეჯიბრს. 2020 წელს გასაგები მიზეზის გამო კონკურსი არ ჩატარებულა.

კონკურსს უმასპინძლა კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებულმა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ჯგუფმა "მზის სხივი."

დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფი მუშაობს კვირაში ორ დღეს, სწავლა უფასოა.

კონკურსი დილის 10 საათზე დაიწყო და საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა - ეს ხანგრძლივობა საერთოდ არ ასახულა კონკურსის მონაწილეების ენთუზიაზმზე. ბოლო წუთამდე ელოდებოდნენ გამარჯვებულთა გამოვლენას.

სოლო პროგრამით გოგონებში (16+) შიდა ქართლის თასის მფლობელი გახდა სპორტკლუბ "წეროების" მოცეკვავე სოფო ჟვიძე. წყვილებში (22+) შიდა ქართლის თასის მფლობელი გახდა თბილისის სპორტკლუბ - "სთეისთრონგის" წყვილი.

ვულოცავთ გამარჯვებულებს და გამოვთქვამთ იმედს, მომავალ წელს კვლავ გავხდებით საინტერესო კონკურსის მომსწრენი.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

## კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება



კასპის პირველი საბავშვო ბაღის დაარსებიდან 55-წლისთავი სრულდება 2021 წლის სექტემბერში. კეთილშობილური მისიის აღსასრულებლად, რასაც მომავალი თაობების აღზრდა ჰქვია, ამ დაწესებულების ჭერქვეითში არაერთ ღვაწლმოსილ პედაგოგ ქალბატონს უმსახურია. მათ ახლაც ჰყავთ საქმიანობის ღირსეული გამგრძელებლები.

კიდევ ერთხელ გვსურს, გულთბილი სიტყვა ვუძღვნათ მათგან ერთ-ერთ ღვაწლმოსილ აღმზრდელს — იზოლდა ბატკუაშვილ-ბახუაშვილს, ვინც პატარების აღზრდა პიროვნული ღირსების უწმინდეს მოვალეობად მიიჩნია, როგორც საკუთარ ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ გარემოებათა კედლებში.

ამიტომაც იყო, რომ ხანგრძლივი პედაგოგიური დამსახურებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მრავალწლიანი საქმიანობისათვის, ჯერ კიდევ დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე, იგი 2012 წელს დაჯილდოვდა სახელმწიფო ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

კასპი მისი მშობლიური რაიონია. თელიანელმა ქალიშვილმა თბილისში დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და

# ღვაწლმოსილთან

## იზოლდა ბახუაშვილი — ღირსების ორდენოსანი

კასპში შექმნა ოჯახი.

1970 წელს აღმზრდელად გამწესდა ბაგა-ბაღში და აღსაზრდელების 2–3-წლიანთა ჯგუფებს დედობრივი მზრუნველობით მეურვეობდა და მოსავდა თითქმის 45 წლის განმავლობაში.

მას არც ბაღში საქმიანობისას მოკლებია პატარების შემეცნებაში დაბადებული გულწრფელი და წმინდა სიყვარული და არც მერე, ისინი როცა გაზრდილან. რაოდენ გასახარია, რომ დღემდე მოსავს უამრავი მშობლის თბილი სიტყვა და კეთილი მზერა. დღემდეა გამხნევებული ერთადერთი შრომითი კოლექტივის კოლეგებისა და თანამოსაქმეთა მხრიდან გამოვლენილი ყურადღებითა და მოკითხვებით. პირადად, სახალხოდ თუ პრესის ფურცლებიდან მის მიმართ გამოთქმული სამადლობელი გახლავთ შეუმცდარი და უზუსტესი შეფასება, დასტური თუ აღიარება მის მიერ ერთხელ არჩეული უკეთილშობილესი საქმისა — მომავალი თაობების აღზრდა-განსწავლულობისა, ცხოვრების მთლად საწყის ეტაპზე რომ საჭიროებდნენ ახალ-ახალთაობელი კასპელები.



# სამი გული ერთი სცენისთვის

დასასრული.

დაც სცენაზე სჩვეოდა, ახლა უკვე მამულის დამცველთა წინა რიგებში გამოჩნდა! იბრძოლა, რამდენჯერმე დაიჭრა, გადარჩა, ისევ საბრძოლო მწყობრში ჩადგა!

გადაქუხებული ომიდან შინ ის ხეიბრად მობრუნდა, დასტაქრებმა მკლავი კი შეუნარჩუნეს, მაგრამ სხეულის ზემო კიდური ველარ ვარგისობდა. აბა, მას როგორღა ეთქმის მოცეკვავე, ვინც მკლავებს არწივისებურ-ფრთებისებურად ვეღარ გაშლის?!

ნაფრონტალმა ახალგაზრდა მოცეკვავემ პირადული დიდი ოცნებანი და სასცენო კარიერა, ბარე არ უნდოდა, მაგრამ განზე გადადო და ახალი გზა გამონახა, რათა საყვარელ სცენას არა და არ გამოთხოვებოდა:

მან ორი სოფლის — ერთაწმინდისა და ახალქალაქის — ომისშემდგომთაობელ გოგო-ბიჭებს მოუყარა თავი და მათი საყვარელი და კერპი მასწავლებელი შეიქმნა! — მათთვის და მათი მონაწილეობით დაიწყო თეატრალური წარმოდგენების დადგმა, ძველებური შემართებით თვითონაც მსახიობობდა და ქორეოგრაფობდა, ბევრ ახალგაზრდას ჩააყლაპა სოფლის კლუბის სცენის მტვერი.

მისი სოფლის სახლის კარი კვლავაც ღია იყო და გულღიად მასპინძლობდა ჭაბუკობისდროინდელ მეგობრებსა და კოლეგებს. სოფელ ერთაწმინდაში იოსებ მამუკაძისეული სახლის ერთ-ერთ ოთახში დღემდეა შემორჩენილი კედლის მხატვრობა — სცენა გაბრიელ სუნდუკიანის სასცენო სპექტაკლიდან "პეპო" — რომლის ცენტრში სოსანას გმირის სახეს განასახიერებს თვითონ იოსები. მან ეს ნახატი დაუკვეთა მეგობარ ფერმწერს, ბორის მარჯანიძეს.

კედლის მხატვრობა მისი მეორე ქალიშვილის (თინათინის) ოჯახში, სოფელ ერთაწმინდაში, ყველაზე ძვირფასი რელიქვიაა, როგორც მამისა და პაპის სულის მაცხონებელი ცოცხალი საგანძური!

✦ ამბავი მეორე "იოსების გოგო", "იოსების ქალიშვილი" — დროის მონაცვლეობის კვალობაზე, ასე ეძახდნენ ერთაწმინდელები და თანატოლი მეგობრები მერის. იქაური მშობლების თხოვნის საპასუხოდ იოსები ყოველ შაბათ-კვირას ერთაწმინდის კლუბში თანასოფლელ პატარებს აზიარებდა ქართული ქორეოგრაფიის ანაბანას, აუფლებდა ცეკვის სილაზათესა და სისადავეს, მათი ერთობლივი მონაწილეობითა და მოწადინებით სასოფლო მცირე სცენაზე საოცარი სულისკვეთება სუფევდა.

იოსების შეგირდებში საკუთარი ქალიშვილი გამორჩეულობდა. ამაში გასაკვირი არაფერი იყო. ამ ყველაფერს საფანლად გასდევდა მისივე ამხანაგების კეთილი შურით აღიარებული შეფასება: — მერი, ნეტა შენ, იოსებ მასწავლებლის გოგო რომ ხარ! შენი მამა, ნეტა, ჩვენიც იყოს!

მერიმ სოფლის სკოლაში მერვეკლასელობა და კლუბის სცენაზე პირველი ეტაპი მოითავა და ქორეოგრაფმა მამამ ამის შემდგომ იგი დედაქალაქს აწვია. მერი თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლე გახდა.

ამ პერიოდში კასპში, მეცემენტეთა კულტსახლში, ქორეოგრაფად მოწვეული ბრძანდებოდა მიხეილ შუბაშიკელი, ქართული ცეკვის მაესტრო ჩვენებური მხრიდან. მერი მასთანაც ცეკვავდა ანსამბლში, თბილისში სწავლის პარალელურად.

1970 წლის ზაფხულში, დაამთავრა თუ არა სასწავლებელი, შუბაშიკელმა ახალბედა კურსდამთავრებული გვერდში ამოიყენა. შემოდგომაზე კი, დადგა თუ არა სექტემბერი, დებიუტანტმა ქორეოგრაფმა თვითონ აიყვანა ბავშვები და თავის პირველ ანსამბლს სახელად "მალხაზები" დაანათლა.

მას შემდეგ, აგერ, სულ სამიოდე თვეში, ნახევარ საუკუნეზე მეტი გასრულდება ქართული ქორეოგრაფიისა და კულტურის მსახურებაში.

ქალბატონი მერი დიდი პატივისცემით ჩამოგითვლით არაერთი ნაშეგირდალის სახელს, ვისი გამოისობით გასული წლების განმავლობაში არაერთი სახელოვნებო სიმაღლე დაუპყრია, სასცენო წარმატებანი მოუპოვებია — გია პაიჭაძე, ზურაბ ბაზუაშვილი, მარინა რუსიშვილი, ნანა ნაროზაშვილი, ნელი ბარნოვი, ნოდარ ცინცაძე, გია დავითური, ლალი და გიული კალატოზიშვილები, ლერი ქართველიშვილი, ტარიელ ბახტაძე და ა. შ. დასანანად მასწავლებლისა, სამზეოდან გასული ბევრი მოწაფის ვინაობაც ახსოვს.

თავისი დამკვალიანებელი, აღმზრდელი პედაგოგების სახელებს, როგორც კი ამისი საშუალება ეძლევა, ზეაღმატებული პატივისცემით ჩამოგითვლით: დავით ჯავრიშვილი, ლილი გვარამაძე, ანტონ ჩიხლაძე, ისევ და ისევ მიხეილ შუბაშიკელი და კოტე მანჯგალაძე...

ჰო, პირველი იყო "მალხაზები", მომდევნო მიაყოლა — "კიდევაც დაიზრდებიან". ამ სახელით ჯერ საცეკვაო ნომერი დადგა და თავდაპირველად სოფელ ხოვლეში წარმოადგინა (სადაც იქაური ცნობილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ლეონარდო ბიჭიკაშვილის, ოჯახის დიასახლისი გახდა!), შემდეგ — კასპში და მერე სულაც ანსამბლს უწოდა. ცეკვაში "კიდევაც დაიზრდებიან" ქართველი დედის კულტი ფიგურირებდა, სადაც დედის სოლო-როლში საკუთარი უფროსი ქალიშვილი, ლია, გამოიყვანა. ამ ნომრით იყო, მერის ანსამბლი დედაქალაქურ ფესტივალზე თავმომწონედ რომ წარდგა და საპატიო სიგელებით და მედლებით მობრუნდა შინ.

სხვა ცეკვების ავტორადაც მოგვევლინა. მათგან საგანგებოდ გამოსაყოფია "გაზაფხული". აქ უკვე უმცროსი (მეოთხე!) ქალიშვილი — მარიკა — გააზაფხულა, მისივე თანატოლებთან ერთად. დიახ, 20



ყვავილი დაგოგმანობდა მტრედისებურად კასპისა და დედაქალაქის დიდ-პატარა თეატრების სცენებზე. მარიკა, რომელიც დღეს უკვე თვითონაა დედისეული საქმის გამგრძელებელი, აღტაცებით იგონებს, რომ მაშინ, 1995-96 წლებში, ანსამბლის 20-ვე მონაწილე საფესტივალო გამარჯვებისათვის დააჯილდოვეს შავიზღვისპირა ურეკში 2-კვირიანი დასასვენებელი საგზურებით.

ქალიშვილი ცეკვაზე იყო შეყვარებული. მის გულში ცეკვას კუთვნილი წილი ედო. თუმცა, ხელოვნების სხვა დარგებსაც ეტრფოდა, მათაც მიუჩენდა სათანადო ადგილს თავის გულში, თითქოს ხარკს უხდისო: მერი იმჟამად ირიცხებოდა კასპის მომღერალთა თვითმოქმედ ანსამბლში, რომელსაც მაესტრო გივი ბახტაძე ლოტბარობდა. კასპელი მომღერლები წარსდგნენ ქ. მოსკოვში, ე. წ. "სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე"; ასევე, კასპის კულტსახლის სცენაზე მთავარ როლში გამოდიოდა ადგილობრივი დრამატული წრის მიერ განხორციელებულ სპექტაკლში "ყველაფერი სიყვარულის ბრალია" (პიესის ავტორი — კასპში მოღვაწე პოეტი და დრამატურგი გურამ კლდიაშვილი, რეჟისორი — დავით ხუციშვილი). მერისვე ეკუთვნოდა სპექტაკლის ქორეოგრაფია. თამაშობდა სხვა პიესებშიც: "წმინდანები ჯოჯოხეთში", "ქოლგა-ვოლგა".

ქალბატონი მერი დღესაც ულალატო მსახურია ქართული კულტურისა, ქართული ცეკვისა.



ის სოფელ ხოვლეში ქორეოგრაფობს, იქაურ ახალგაზრდებს წურთნის მისთვის ჩვეული დაუღალაობით, პროფესიონალიზით, პასუხისმგებლობით, ცხოვრებაში ერთხელ არჩეული მთავარი საქმის უზომო სიყვარულით.

"მერიემი" — აი, როგორი სიმბოლური და შინაარსობრივი სახელდებისაა მისი ამჟამინდელი ანსამბლი, რაც თვით მის წევრებს შეურჩევიათ მერი მასწავლებლის უდიდესი პატივისცემის ნიშნადა და დასტურად!

✦ ამბავი მესამე ასე და ამგვარად, ზემოთ გაეცანით ამბებს, თუ როგორ წარიმართა მამა-შვილი მამუკაძეების ოჯახური სამემკვიდრეო ესტაფეტა, ქართული ქორეოგრაფიისადმი უდიდესი ღვაწლით რომაა ნასაზრდოები და გაჯერებული. თაობათა კავშირი დღესაც უწყვეტია. ახლა მესამე თაობის წარმომადგენლის ჯერია: იგი გახლავთ მარიკა ბიჭიკაშვილი — ქალბატონი მერის ნაბოლარა ქალიშვილი! თავის დროზე როგორც "იოსების გოგომ" გაიარა მამის სკოლა, მარიკამაც მოითავა დედის სკოლელობის პერიოდი და აწ თვითონ გვევლინება პაპისა და დედის საქმიანობის ღირსეულ მემკვიდრე ასულად!

იგი, როგორც პროფესიონალი, როგორც ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი, გახლავთ ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბაკალავრი (2004-07 წლები), ხელოვნების აკადემიური ხარისხის მაგისტრანტი (2014). მარიკა ბიჭიკაშვილი 2016 წლიდან ქ. კასპში ცეკვის ანსამბლი "ფერხულის" ქორეოგრაფია. პროფესიულ საქმიანობას განაგრძობს მშობლიური რაიონის იმავე კულტურული დაწესებულების კედლებში, სადაც ათწლეულები მოილია მისმა ძვირფასმა დედამ.



**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.**

# ჩემი პირველი

შესავლის მაგიერ:

“სკოლამდელი აღზრდის საზოგადოებრივი სისტემა წარმოიშვა ქვეყანაში მრეწველობის განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც საჭირო გახდა ქალთა ფართო მასების ჩაბმა შრომით ფერხულში და ამის გამო კი მათი გათავისუფლება ბავშვთა საშინაო-ოჯახურ გარემოში აღზრდისაგან...”

“საქართველოში ამგვარი გარემოება წარმოიქმნა ჯერაც მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. აუცილებელი გახდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის შექმნა. აი, სწორედ ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენდა საბავშვო ბაღები...”

“... 1924 წელს დაარსდა სამთავისის კომუნა. მასში გაერთიანდნენ ოჯახები. ქალებს შრომითი მონაწილეობა რომ შეძლებოდათ, მომავალ თაობაზე ზრუნვის მიზნით კომუნასთან დაარსდა ბაგა-ბაღი მარიამ ორახელაშვილის ინიციატივით”.

“კასპში ცემენტის ქარხნის აშენებასთან ერთად, 1929-30 წლებში მასთან ერთად გაიხსნა საბავშვო ბაღი, რომელიც გათვალისწინებული იყო მხოლოდ 25 ბავშვზე...”

ეს გახლავთ ამონაწერი “კასპის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ისტორიიდან”. მისი ვრცელი (16-გვერდიანი) ტექსტი, საკითხის ღრმად შესწავლის შედეგად, ასევე საყურადღებო ისტორიული და დოკუმენტური ფაქტების მოხმობით, 2016 წელს მოამზადა კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივმა (მუზეუმის დირექტორი – გიორგი ჩადუნელი, ავტორი – განყოფილების გამგე ნანა მერებაშვილი).

აღსანიშნავია, რომ ისტორიული თემატური რაკურსის მომზადებიდან მალევე მისი განზოგადოება მოხდა მუზეუმშივე მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციაზე. იმ საჯარო განხილვაში მონაწილეობდნენ უშუალოდ დაინტერესებული პირები – მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის ბაგა-ბაღების გამგეები და წარმომადგენლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელები.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, გიორგი ჩადუნელის გულისხმიერი და თავაზიანი თანხმობის შედეგად, გაჩნდა იმის საშუალებაც, რომ ზემოაღნიშნული ისტორია პერმანენტულად გაზეთის ფურცლებიდანაც გავაცნოთ ფართო საზოგადოებას. პირველ პუბლიკაციაში მოთხრობილი იქნება ქ. კასპის პირველი ბაგა-ბაღის წარსულსა და დღევანდელობაზე.

***

კასპის №1 საბავშვო ბაგა-ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო 1966 წლის პირველი სექტემბრიდან, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქეთევან ბოგვერაძე.

ბაგა-ბაღი დაკომპლექტდა ექვს საალმზრდელო ჯგუფზე, სადაც აღსაზრდელები 2-დან 6-წლამდე ირიცხებოდნენ. აღნიშნული საალმზრდელო ჯგუფებიდან იყო ორი ბაგის და ოთხი ბაღის ჯგუფი, თითოეული ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ასაკობრიობის მიხედვით.

ჯგუფში მუშაობდა ორი აღმზრდელი და ერთი ძიძა. აღმზრდელები იყვნენ: რუსუდან მარიამიძე, დარეჯან ღვინიაშვილი, ზაირა ქენქაძე, თინათინ წივილაძე, ჟენია მარქარაშვილი, ოფელია ჩიტიშვილი, ბელა მერებაშვილი, იზოლდა ხელაშვილი, მერი ბუზალაძე. ჯგუფის ძიძებად მუშაობდნენ: თამარ თინიკაშვილი, გულო მარქარაშვილი, თინათინ წიკლაური, დარეჯან ოქრუაშვილი, ჯულიეტა ჩერქეზიშვილი, მაყვალა მაღლაფერიძე, ბაგა-ბაღის მეთოდისტი იყო ქეთევან თაყაძე.

ქეთევან ბოგვერაძე აღმოჩნდა შესანიშნავი ხელმძღვანელი. იგი იყო სამართლიანი, მომთხოვნი, საქმისადმი ერთგული. მან კოლექტივს შეაყვარა თავი და ყველასთვის იქცა უსაყვარლეს “ქეთო დეიდად”. ბაგა-ბაღის პედკოლექტივი ძირითადად დაკომპლექტებული იყო სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებით. მუშაობა იმდენად წარმატებული იყო, რომ ბაღში ხშირად სხვადასხვა ბაგა-ბაღებიდან მიდიოდნენ დამწყები ან მოქმედი აღმზრდელები, რათა გაეზიარებინათ გამოცდილება და გამოეყენებინათ თავიანთი მუშაობის პროცესში.





სკოლამდელი აღზრდა არის განათლების სისტემის პირველი სკოლა, სადაც ხდება ბავშვის ყოველმხრივი ფორმირება. გარდა სასწავლო პროცესებისა, ხშირად ტარდებოდა გართობა-თამაშები, საზეიმო დილები, მუსიკალური სპექტაკლები, მუსიკალურ განვითარებაზე ზრუნავდა პროფესიონალი სპეციალისტი თამილა რომაშვილი.

პედაგოგები ცდილობდნენ მუშაობის პროცესში უფრო მეტი სიახლის შეტანას. ამ კუთხით ჩატარდა სპორტული ღონისძიება “მხიარული სტარტები”, ინტელექტუალური თამაში “რა? სად? როდის?”, საგზაო მოძრაობის წესების შემსწავლელი ღონისძიება, რაშიც კონსულტაცია გასწია რაიონის საპატრულო სამსახურის წარმომადგენელმა. მან ბაღში მიიტანა საგზაო მოძრაობის წესების აღმნიშვნელი ნიშნები, შეძენილ იქნა ველოსიპედები, მოეწყო სათანადო მოედანი, სადაც პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოძრაობაში.

ბაღს ჰქონდა ტრადიცია, ყოველდღიური დილის აერობიკა, მუსიკის თანხლებით ვარჯიშში ბავშვებთან ერთად ჩართული იყო პედკოლექტივიც.

90-იანმა წლებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ბაგა-ბაღების მუშაობაზეც. შემცირდა ან გაუქმდა რამდენიმე საშტატო ერთეული, განახევრდა პერსონალი, შემცირდა ბავშვთა კონტინგენტი, გაუქმდა სამი საალმზრდელო ჯგუფი, შემცირდა ხელფასებიც, რომელიც თვეების მანძილზე “იყინებოდა”.



ამ პერიოდში მოხდა ხელმძღვანელის შეცვლა და ქეთევან ბოგვერაძე ჩაანაცვლა მარინა დალაქიშვილმა. გარკვეული დროის მანძილზე თანდათანობით გამოსწორდა მდგომარეობა და სიახლეებიც დაინერგა. კვლავ შეიცვალა ხელმძღვანელი და დაინიშნა ქეთევან თაყაძე.

პედაგოგების უმეტესობამ გაიარა საკვალიფიკაციო ტრენინგი, სასწავლო პროგრამამაც განიცადა რეფორმა, თითოეული აღმზრდელი გამგესთან ერთად იხილავდა რეფორმირებულ პროგრამას და განახლებული სახით ასწავლიდა აღსაზრდელებს. პედკოლექტივი მუდამ იყო სიახლის ძიებაში.

2012 წლის ივლისში რაიონის ხელმძღვანელობამ ბაგა-ბაღის ერთ-ერთი აღმზრდელი იზოლდა ბახუაშვილი წარადგინა ჯილდოზე. მას გაწეული მუშაობისათვის გადაეცა ღირსების ორდენი. ამ ჯილდომ მთელი კოლექტივი გაახარა.

ამჟამად ბაღის გამგე მზია ჭალიაშვილია.

პირველი საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელს მაკა ღვინიაშვილს მიაჩნია, რომ ადრეული ასაკიდანვე სწავლისადმი ხელშეწყობა და სათანადო დამოკიდებულება აუცილებელი პირობაა ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი და ემოციური სფეროების განვითარების პროცესში.

ჩემი მიზანია, – ამბობს იგი, – ბავშვს განუვითარდეს შემეცნებითი ინტერესი, გონებრივი მუშაობის უნარი, მეტყველება, რაშიც ასევე გვეხმარება “სასკოლო მზაობის” პროგრამის სამაგიდო წიგნი.



## სპორტული ცხოვრების დღიური

**გაზეთის პერიოდულობის სპეციფიკასა და გამოცემის გრაფიკზე დამოკიდებულების გამო, წინამდებარე ნომერში წარმოდგენილი სპორტული ქრონიკები მოიცავს თითქმის ერთთვიან მონაკვეთს — მაისის მესამე და ივნისის პირველ-მეორე დეკადების ჩათვლით.**

### ქართული ჭიდაობა

* 23 მაისი, სოფ. გალავანი (მცხეთა): არჩილ ჩოხელის — ჭიდაობა სამბოში 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონისა და შემდგომში ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის — ხსოვნის მემორიალურ ტურნირში, ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა სოსო ჟივიძემ (80 კგ.).

* 26 მაისი, სოფ. შინდისი (გორი): 2008 წელს გმირულად დაღუპული 17 ქართველი ვაჟკაცის ხსოვნას მიეძღვნა ტრადიციული მემორიალური დიდი ტურნირი. კასპელი მოჭიდავეებიდან ყველაზე უკეთ იასპარეზა ძმები პაპინაშვილების დუეტის უმცროსმა წარმომადგენელმა — ჯაბამ: იგი მეორე საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდა. მის წონაში (60 კგ.) ამჯერად პირველი იყო საგარეჯოელი ირაკლი კუპატაძე, ხოლო მესამე — ქარელელი საბა არავიაშვილი. ისინი დააჯილდოვა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი დოლაბერიძემ.

### მძლეოსნობა

* 23 მაისი, ქ. თბილისი: გაიმართა საქართველოს პირველობა 20-წლამდელ სპორტსმენებს შორის, მძლეოსნობის სხვადასხვა სახეში. ბირთვის კვრაში ბრწყინვალედ გამოვიდა 19 წლის სტუდენტი, სოფ. დოესში მცხოვრები გიორგი ყეინაშვილი. მან 6-კილოგრამიანი ბირთვი 18,40–მეტრიან ნიშნულამდე გადააგდო და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა. გიორგის უკვე აქვს საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება: პირველად 2019 წელს გამოვიდა ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში და იქ საუკეთესოთა 10-ში შევიდა. აგერ, მაისის ბოლოს, თბილისშივე იასპარეზა ღია ეროვნულ პირველობაზე, სადაც უკრაინელი, თურქმენი და სომეხი მეტოქეები დაჯაბნა, თანაც, უფროსთა ასაკობრივ კატეგორიაში და პირველობის გამარჯვებულის სახელი საქართველოს ნაკრებს დაუნარჩუნა: 7-კილოგრამიანი ბირთვი 15,50–მეტრის ნიშნულზე მოისროლა! (მას ავარჯიშებს ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით მანთიძე).

გიორგი ივლისში ფრიად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში გამოვა: ესტონეთის ქ. ტალინში ტარდება ევროპის პირველობა 23–წლამდელებში.

### თავისუფალი ჭიდაობა

* 27-29 მაისი, ქ. ქუთაისი: რიონისპირა ქალაქში კასპელი მოსწავლეების გამოსვლას წარმატებულს ვერ დავარქმევთ, რადგანაც ჭიდაობის ამ სახეობაში ისინი შედარებით მოკრძალებული შედეგებით გამოირჩევიან, სხვა სახეობის მიმდევართაგან განსხვავებით. აი, სწორედ ამ ფონზეა გამოსარჩევი იგოეთის საჯარო სკოლის მერვეკლასელი მოსწავლის, 13 წლის ბექა ღარიბაშვილის პრიზიორობა: მერაბ ბუნტურის შეგირდმა ქუთაისში, სადაც იქაური მოჭიდავის, ირაკლი წოწონავას ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირში იასპარეზა, მესამე ადგილი დაიკავა. შარშან და შარშანწინ ბექა თბილისისა და ხაშურის ტურნირების პრიზიორთა შორისაც იდგა. ასეთი სტაბილურობა კარგია. იმედია, მალე პირველიც გახდება.

### ჭადრაკი

* 12 ივნისი, ქ. კასპი: გაიმართა მუნიციპალური პირველობა 10-წლამდე ასაკის მოთამაშეთა შორის.

გაიცანით ნორჩი ჩემპიონი — გაბრიელ ბეგლარაშვილი (სოფ. ზემო ხანდაკი, მწვრთნელი — ზაზა გორგაძე). მან ყველა მეტოქესთან გაიმარჯვა და მაქსიმალური შედეგი აჩვენა: 5 ქულა. მას ქულით ჩამორჩა ანდრია ზაქარაშვილი (ქ. კასპი, მამუკა ზაქარაშვილი). მესამე ადგილი დაიკავა ირაკლი ნავროზაშვილმა (სოფ. ახალქალაქი, მწვრთნელი — მაია ილურიძე).

(პ.ს. ჩვენი ანონსი: 29 ივნისს კასპში გაიმართება შოთა ჯაბაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი შიდა ქართლის მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდებს შორის).

## კიკბოქსინგი




* 5-6 ივნისი თბილისი: საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაიბოქსინგის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გამართულ ჩემპიონატში ჩვენი გაერთიანებიდან წარდგა 5-კაციანი ჯგუფი (მწვრთნელი — ოთარ თოიძე).

მათგან უფროსთა ასაკობრივ კატეგორიაში პირველად გამოჩნდა ლუკა ბარნოვი (57 კგ.). მან ამჯერადაც გაამართლა ფავორიტის სტატუსი და ჩემპიონობა მოიპოვა.

ჭაბუკებში, ასევე, გამარჯვება ირგუნა გიორგი ახვერდოვმა (46 კგ.), ხოლო მოსწავლეთა შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ილია კაციაშვილმა (51 კგ.).

მათ, როგორც სხვა ჩემპიონ-პრიზიორებს, მედლები, სიგელები და თასები გადასცა კიკბოქსინგში მსოფლიოს 3-გზის ქართველმა ჩემპიონმა დავით ქირიამ.

## კალათბურთი

* 6 ივნისი კასპი: სპორტული კომპლექსის კალათბურთის დარბაზი 12 და 13-წლიანმა მოთამაშეებმა ჟრიამულითა და ბურთების ბაგაბუგით გადაავსეს. კასპელ თანატოლებს გორის სპორტსკოლიდან იქაური მოთამაშეები ეწვივნენ. თამაშები ამხანაგური ხასიათისა იყო. ასეთ დროს ნამდვილი მეგობრობა იმარჯვებს და, მოდი, ანგარიშებს ნურც ჩვენ ვიკითხავთ. ისე კი, ორივე შეხვედრაში მასპინძლებმა გაიმარჯვეს.

## თავისუფალი ჭიდაობა

21 ივნისი ქ. კასპი: თავისუფალი სტილის ჯგუფების მწვრთნელები მეორენი არიან, ვინც შიდა მასშტაბის შეჯიბრება გამართეს (ძიუდოისტების შემდეგ): რაიონული პირველობა 2007-09 და 2010-11 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის მოეწყო საჭიდაო დარბაზში. საჭიდაო ლეიბზე 40-მდე ნორჩი სპორტსმენი გამოვიდა.

წონით კატეგორიებში გადანაწილებულთა შორის გამოვლინდნენ წლევანდელი პირველი გამარჯვებულები და პრიზიორები. გაერთიანების დირექციის გადაწყვეტილებისა და მოთხოვნისამებრ, უახლოეს პერიოდში ანალოგიური ხასიათის "დათვალიერებას" მოაწყობენ სამბოსა და ქართული ჭიდაობის ჯგუფებისა და სექციების მწვრთნელები.

## სპორტ INFO

### ერევნიდან – მედლებით და ... ქამრით

შუა ივნისში ქ. ერევანში (სომხეთი) საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. იქ მიწვეული იყვნენ ქართველი, უკრაინელი და ბელარუსი მოსწავლე კიკბოქსიორები. საქართველოს ნაკრებში ოთარ თოიძის სამი შეგირდიც გამოდიოდა, სხვა რეგიონების წარმომადგენელთა გვერდით.

ჩვენმა ბიჭებმა სომხეთის დედაქალაქის საბრძოლო არენა თავაწეულებმა დატოვეს. თავად განსაჯეთ, მათ ანგარიშზეა:

პირველი ადგილი — ნიკა ბერიანიძე (დაბ. 2009 წ.), 40 კილოგრამის კატეგორიის ჩემპიონს წელზე ქამარიც შემოარტყეს;

პირველი ადგილი — თორნიკე კაციაშვილი (2010 წ.), 64 კილოგრამის კატეგორიაში, საპატიო სიგელი და მედალი;

მეორე ადგილი — გიორგი პეტრიაშვილი (2008 წ. 54 კგ, სიგელი და მედალი).

## ტაეკვონდო



* 5-6 ივნისი, ქ. ბათუმი: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან კასპში ჩემპიონად და ვიცე-ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ კლუბი "კასპი კარატე–დოს" მოსწავლეები. მწვრთნელმა ალექსანდრე მანძულაშვილმა გვაცნობა მათი ვინაობაც: პირველ ადგილზე გავიდა მარიამ მანძულაშვილი (+57 კგ.), მეორე ადგილებზე კი თამაზ ნავროზაშვილი (25) და გიორგი შერმადინი (33 კგ.).




## ფეხბურთი

* 26 მაისი–2 ივნისი, ქ. კასპი: საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ლიგის გათამაშების მუნიციპალურ პირველობაზე 4 გუნდი შეიკრიბა, კასპიდან — 3 და კოდისწყაროდან. "განთიადისა" და "პაპას" წყვილში გამარჯვება პირველს დარჩა, ხოლო "ლესტერმა" კოდისწყაროს "მერცხალთან" გაიმარჯვა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ "განთიადისა" და "ლესტერის" მოყვარული ფეხბურთელები. გაიმარჯვეს განთიადელებმა. გათამაშების შემდეგ ეტაპზე ისინი შიდა ქართლის მხარის რაიონების სხვა გამარჯვებულებს ეთამაშებიან.

# სპორტული კასპის მაჯისცემის მხარდასაჭერად



2021 წლის 14 ივნისს კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ ადგილობრივი სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი – ბადრი ჯანიაშვილი) მწვრთნელებთან, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენების წარმომადგენელთა ერთ ჯგუფთან საქმიანი შეხვედრა გამართა.

მუნიციპალური სპორტის მუშაკთა და სპეციალისტთა კოლექტივის წინაშე მდგომი სადღეისო გეგმებისა და ამოცანების შესრულების, არსებული პრობლემური გზების გადაწყვეტისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების, საჭირო ოპტიმიზაციისა და საერთო ხელშეწყობის, მხარდაჭერის თაობაზე მხარეებს შორის გაიშალა პირდაპირი და საქმიანი სჯა-ბაასი.

## სპორტ INFO

# ბექა ბერძენიშვილი ევროპის 3-გზის ჩემპიონია!

### ანუ – კასპური დესანტი კვიპროსში

მძიმე-წონოსანი სამბისტი მოჭიდავე ბექა ბერძენიშვილი რეიტინგულ პირველ პოზიციას არ თმობს დიდ სამბოში. მაისის ბოლოს მან ევროპის ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა, ამჯერად კვიპროსის ქ. ლიმა-



სოლში, სადაც ფინალურ შეხვედრაში იოტისოდენა შანსი არ დაუტოვა რუსეთელ ანდრეი ვოლკოვს (7 : 0).

ჩვენებური ფალავნის წლევანდელი გამარჯვება, ცხადია, გასახარია. იგი იმ მხარდაჭერითაც იყო განპირობებული, რაც კუნძულოვანი ქვეყნის საჭიდაო ხალიჩაზე მას ალმოუჩინეს ძმებმა მამულაშვილებმა: უფროსმა, იოსებმა – მისმა პირადმა მწვრთნელმა და უმცროსმა, კახამ – სამბოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ.

კვლავაც გვეამაყოს თქვენი ერთობლივი სასპორტო გარჯილობით, შეგირდ-ფალავანო და ოსტატ-მწვრთნელებო!

## ჩვენი იუბილარები

# ნუგზარ მამულაშვილი – 65!

სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დირექცია, მენეჯერები, მწვრთნელები, სპეციალისტები, მეგობრები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები დაბადებიდან 65-წლისთავს (22.06.1956) ვულოცავთ კასპური სპორტის ამაგდარს, ნაამაგარ მოჭიდავეს, მამულაშვილების ოჯახური დინასტიის თავკაცს – ნუგზარ მამულაშვილს!

ჯანმრთელობა, ჩვეული ენერგია და ხალისი იყოს შენი თანამდევი! კვლავაც არ მოგკლებოდეს იღბალი და წარმატება!

# ჭიდაობა ძიუდო



* 16 ივნისი ქ. კასპი: “დიდი დათვალიერება” —ასე უნდა დავარქვათ შეჯიბრებას, რომელიც კალათბურთის დარბაზის პარკეტზე გაშლილი ტატამის ორ ლოკაციაზე თითქმის 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა რაიონის მოსწავლეთა შორის. თანაც, ერთდროულად სამ ასაკობრივ ჯგუფში (2010–11, 2007–09 და 2005–06 წლებში დაბადებულები).

დიახ, პანდემიურმა ვითარებამ დიდი და პატარა მასშტაბის სასპორტო შეჯიბრებები თავისებურად შეაფერხა, უპირველესად მწვრთნელები და სპორტსმენები დააზარალა, რომელთაც ხელი შეეშალათ შარშანდელი და წლევანდელი გეგმების განხორციელებაში.

16 ივნისის რაიონულ პირველობაზე თავი მოიყარეს უშუალოდ ქალაქის დარბაზებში და სოფლების ჯგუფებში მოვარჯიშე ნორჩმა სპორტსმენებმა – კასპიდანა და სოფლებიდან 120-ზე მეტი ჭაბუკი შეიკრიბა.

სამივე ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ყველა ჩემპიონისა და პრიზიორის ვინაობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ გეტყვით, რომ ყველაზე უკეთ გამოვიდნენ მეტეხელები: მათი მონაგარია 5 პირველი, 6 მეორე და 3 მესამე ადგილი.

საინტერესოა, რომ არაოფიციალურად შემდეგი ადგილები ასე გადანაწილდა: 2. კასპი (შესაბამისად 3, 6 და 3 მედალი), 3. დოესი (3, 3 და 1), 4. ლამისყანა (3, 2 და 4) 5. ახალციხე (3, 2 და 1), 6. ალაიანი (2 0 და 1 მესამე), 7. თელიანი (1, 2 და 1), 8–9. იგოეთი და სამთავისი (თითო-თითო პირველი), 10. ზემო ხანდაკი (1 მეორე და 3 მესამე ადგილი).

# სატურნირო ცხრილში – ლიდერთა სიახლოვეს!



* სასპორტო გვერდის წინა გამოშვებაში რეგიონული ლიგის გათამაშებაში მონაწილე “კასპი – 1936”-ის თამაშების მიმოხილვა იმით დავასრულეთ, რომ 19 მაისის საშინაო მატჩი თბილისის “მერანის” გუნდს მოუგო და სატურნირო ცხრილში მეექვსე პოზიციამდე წაიწია.

ამის შემდეგ კასპელებმა კიდევ რამდენიმე ტური განვლეს.

26 მაისს ქ. თბილისში მარცხი აგემეს ადგილობრივ “დომინანტს” – 3 : 1 (ორი გოლი გაიტანა კასპელთა კაპიტანმა ბექა დაბრუნდაშვილმა, ერთიც – ოთარ ბოლოთაშვილმა).

4 ივნისს კასპში პრინციპული შეხვედრა მოუგეს სოხუმის “დინამოს”. მართალია, მასპინძლებმა პირველი ბურთი გაუშვეს, მაგრამ მერე საკუთარი თამაშის “პოვნა” მოახერხეს და ჯერ თორნიკე თაგვიაშვილმა “გამოიმუშავა” პენალტი და ზუსტი გარდასახვით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ისევ ბოლოთაშვილ-დაბრუნდაშვილის დუეტმა დააფიქსირა საბოლოო ანგარიში – 3 : 0.

მერვე ტურის მატჩში მოულოდნელი მარცხი განიცადა ქ. თბილისში “იბერია – 2010”-თან, ანუ მეორე მიმდინარე სეზონში. როგორც ჩანს, ჩვენი ბიჭები ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ და ეგონათ, მორიგი ქულები “ჯიბეში ედოთ”.

15 ივნისს შინ დაუხვდნენ სატურნირო ცხრილში სამეზობლოში მყოფ აჩაბეთის “ლიახვს”, რომელსაც უთანაბრდებოდნენ მოგებათა რაოდენობითაც (5 – 5) და ქულებითაც (16 – 16), მაგრამ ჩამორჩებოდნენ ბურთების უარესი სხვაობით. ამასთან, ასალები იყო რევანში შარშანდელ სექტემბერში 1 : 4-ზე წაგებული თამაშის გამო. ამიტომ ამჯერად



მოგება ორივე მეტოქეს ძალზე სჭირდებოდა.

ასეთ სიტუაციაში მასპინძლებმა სრული მობილიზება გამოავლინეს სასურველი 3 ქულის მოსაპოვებლად: მათ ეს შეძლეს და რევანშიც შედგა სწორედაც “მშრალი” 3 ბურთის გატანით.

გასახარია, რომ გოლების ავტორებად ისინი მოგვევლინენ, რომელთაც ეს პირველად მოახერხეს მიმდინარე სეზონის პრინციპულ თამაშებში. პირველ ტაიმში თავი 2-ჯერ გამოიჩინა ბექა პარსალიშვილმა, ხოლო მეორეში მიხეილ მუმლაურმა გაასამა ანგარიში.

ამრიგად, “კასპი – 1936”-მა რეგიონული ლიგის მიმდინარე პირველობაზე უკვე ჩაატარა 9 მატჩი და ლიდერთა შორის მე-5 პოზიცია უკავია. 9 მატჩიდან მოგებულია 6 (4 – საშინაო, 2 – გასვლითი) და ფრედ დამთავრებულია ერთი, გატანილ-გაშვებული ბურთების შეფარდებაა 21 : 13-ზე. ანუ, მის აქტივში 19 ქულაა. ლიდერთან ჩამორჩენა 4 ქულა, მეორე–მეოთხე ადგილებზე მყოფ მეტოქეებთან – 2 და თითო-თითო ქულა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ტურის შედეგს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.

ვფიქრობთ, ჩვენს ბიჭებს ზაფხულის ცხელ თამაშებშიც ეყოფათ ცეცხლოვანი მუხტი.















## რა გაკეთდა წლიდან წლამდე

# [illegible]

2016-2017 წელს კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ბევრი მაღალბიუჯეტიანი პროექტი განხორციელდა:

გზები: კასპში მოასფალტდა პაატას ქუჩა, რომლითაც სარგებლობენ ქუჩის მოსახლეობის გარდა №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ქ. კასპში რეაბილიტირდა-მოასფალტდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების: პაატას ქუჩის გადამკვეთი კოჯორის, იოსებ გრიშაშვილის და თავისუფლების ქუჩები. ღირებულება 550 500 ლარი. სარგებელი მიიღო 2000 ბენეფიციარმა.

კასპში დადიანის ქუჩას 950 გრძივ მეტრზე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ღირებულება 799 830 ლარი. მოეწყო ტროტუარები, კიუვეტები და ეზოში გადასასვლელები. ქუჩა ცენტრშია და ჰყავს ბევრი მოსარგებლე.

კასპში მდინარე ლეხურაზე აშენდა საავტომობილო ხიდი, რომელმაც ქალაქის ორივე მხარე დააკავშირა ერთმანეთთან. სამუშაოების ღირებულება 235 599 ლარია.

მოასფალტდა სოფელ კოდისწყაროს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზა, სარგებელი მიიღო 635 ბენეფიციარმა, მათ შორის გამყოფი ხაზისპირა 3 სოფლის მოსახლეობამ. ღირებულება 683,554 ლარი.

რეაბილიტირდა მაღალმთიანი სოფლების გუდალეთის და ვარჯაანის მისასვლელი გზები. ღირებულება 213 335 ლარი.

გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის დამაგრებას ადგილზე და გააჩენს დაბრუნების მეტ მსურველს.

ქალაქის ორ ქუჩაზე, სამთავისის და ჭავჭავაძის ქუჩებზე მოეწყო საკანალიზაციო სისტემა, ღირებულება 137 777 ლარი, სარგებელი 780 ბენეფიციარმა მიიღო.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მდინარე მტკვარზე მდებარე კასპი-კავთისხევის დამაკავშირებელ საავტომობილო ხიდს. ხიდი აკავშირებს კასპს, კავთისხევის და წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ასევე უმოკლესი გზაა მცხეთასა და თბილისთან.

სასმელი წყალი: სოფელ ქვემო ჭალის წყალსადენის მაგისტრალის ქსელების და სათავე ნაგებობის სრული რეაბილიტაცია, სარგებელი მიიღო 2800 ბენეფიციარმა - გაუუმჯობესდათ სასმელი წყლის მიწოდების პირობები. ღირებულება 876 505 ლარი.

სასმელი წყლის სისტემა მოეწყო სოფელ ზემო ხანდაკში, სასმელი წყლის სათავე ნაგებობა მოეწყო მაღალმთიან სოფელ ცხავერში.

საბავშვო ბაღები:

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის სამ საბავშვო ბაღს და ახალი ინვენტარით აღიჭურვა ნაწილობრივ. დაიხარჯა 706 103 ლარი.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის 2 საბავშვო ბაღს და 7 სასოფლო საბავშვო ბაღს. დაიხარჯა 1 310 678 ლარი. სარგებელი 760 ბენეფიციარმა მიიღო.

კულტურა:

სოფელ ხოვლეში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელ გზას.

2016 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა და აღდგენილ იქნა კასპის საქალაქო ბიბლიოთეკა. ღირებულება 33 417 ლარი. აღიჭურვა ახალი ინვენტარით. წიგნადი ფონდი 10 283 ეგზემპლარი. გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა, გაუმჯობესებული სამუშაო პირობები აქვთ თანამშრომლებს და მკითხველებს.

ბიბლიოთეკა აღდგა სოფელ ქვემო ჭალაში, რომელიც გამყოფი ხაზისპირა სოფლების მკითხველებსაც ემსახურება.

განათლება:

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ კასპში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობას.

სამუშაოს ღირებულება 75 280 ლარი. მოსწავლეებს და პედაგოგიურ კოლექტივს სწავლა და მუშაობა კომფორტულ პირობებში უწევთ.

სოფელ თვალადში აშენდა უახლესი სტანდარტების მქონე საჯარო სკოლა 120 მოსწავლეზე. სკოლა აღიჭურვა ახალი ინვენტარით. ღირებულება 2 454 997 ლარი. მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს საუკეთესო პირობები აქვთ.

ქალაქ კასპში აშენდა უახლესი სტანდარტების მქონე №1 საჯარო სკოლა 620 მოსწავლეზე. სკოლა აღიჭურვა ახალი ინვენტარით. ღირებულება 6 006 910 ლარი. მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს საუკეთესო პირობები აქვთ.

წარმოება:

ბანკი "ქართუ"-ს დაფინანსებით გაიხსნა მაღალტექნოლოგიური, მიკრობიოლოგიური საწარმო "ჯეოფერტი". დაასაქმა 120 ადამიანი.

















## უძველეს დემონთა დასამარცხებლად

# ინდივიდის აღმოჩენის მუდმივი პროცესი

დასასრული. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №5

"ჯოჯოხეთი" ჰქვია ფრანგი რეჟისორის, კლოდ შაბროლის შესანიშნავ ფილმს, რომელიც რომანტიკული ეჭვიანობის ისეთ საშინელ ფორმაზე მოგვითხრობს, რომ მისი ნახვის შემდეგ უნებურად გიჩნდება საკუთარი თავის გაფრთხილების, ამგვარი ტანჯვისაგან დაცვის აუცილებლობის განცდა.

ზემოთ მეცნიერების მიერ კლასიფიცირებული ეჭვიანობის სახეები ვახსენეთ და, შაბროლის ფილმში აღწერილი სურათი ეგრეთ წოდებულ მორბიდულ (ავადმყოფურ) ეჭვიანობას ეხება. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ოტელოს სინდრომს.

სამწუხაროდ, ეს გახლავთ ფსიქიკური აშლილობა, როდესაც ადამიანს მტკიცედ სჯერა, რომ მას სექსუალური პარტნიორი ან შეყვარებული ღალატობს. ამ ნიადაგზე შესაძლოა, ისეთი საზარელი დანაშაულიც კი მოხდეს, როგორიც ფიზიკური ძალადობა ან მკვლელობაა.

ფილმის ინტელექტუალური გმირი ძალადობას ფსიქიატრიულ კლინიკაში წასვლას ამჯობინებს...

ერთი სიტყვით, თუ არ გსურთ, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოჩნდეთ, უპირველესად საკუთარ თავს ეჭვიანობის მიზეზების შესახებ დაბეჯითებით ჰკითხეთ და აუცილებლად იპოვეთ პასუხი. შემდეგ კი თავადვე დაიწყეთ ბრძოლა ამ გრძნობასთან.

თუმცა, თუ თქვენ უკვე სკანდალებს აწყობთ, ან დეტექტივს უშედეგოდ ქირაობთ, ეს რჩევები აღარ დაგეხმარებათ — აუცილებლად მიმართეთ ფსიქოლოგს.

ბრძოლის იმ უამრავი ხერხიდან, რომელთა გამოყენებასაც სპეციალისტები გვირჩევენ, შევეცდები რამდენიმეს შესახებ მოკლედ გიამბოთ.

ყველაზე იოლად განსახორციელებელია, რომ საკუთარი თავი პარტნიორის ადგილზე წარმოიდგინოთ და ამაზე იფიქროთ. თუ თქვენ დღეში ათჯერ მაინც ურეკავთ მას და ცდილობთ გაარკვიოთ, სად არის და რას აკეთებს, საყვარელ ადამიანს სთხოვეთ, თავადაც ასევე მოგექცეთ.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთი კვირის შემდეგ მიხვდებით, რაოდენ დისკომფორტსა და უხერხულობას უქმნით მას და, სრულიად შესაძლებელია, შეწყვიტოთ მისი გაუთავებელი შემოწმება.

მეორე რჩევაა, ხშირი ურთიერთობა გქონდეთ მის ოჯახსა და ახლობლებთან. როცა საყვარელი ადამიანის შესახებ მეტი გეცოდინებათ, ეჭვიანობასაც საფუძველი შეერყევა.

ასევე, აუცილებელია, მიიღოთ მისი მეგობრები და მეტი დრო გაატაროთ მათ წრეში. ასეთ დროს ქრება აზრი, რომ ადამიანი, რომელიც გიყვართ, თქვენს გარეშე მეგობრებთან ერთად ყოფნისას რაიმე ცუდს აკეთებს.

ყველაზე მთავარი კი მაინც საკუთარი შიშებისათვის თვალის გასწორება და მათ უსაფუძვლობაში დარწმუნებაა. თუ მისი წარსული გაშფოთებთ, ჰკითხეთ განვლილი ცხოვრების შესახებ, აწმყოში კი იყავით მისი ნამდვილი მეგობარი, ესეც ეჭვისგან გათავისუფლებაში დაგეხმარებათ.

უძველესი დემონები თუმცა ასე ადვილად არ მარცხდებიან, მაგრამ დაუმარცხებელნიც არ არიან.

თავდაჯერებულობა და ინდივიდუალური ინტერესების ფართო სპექტრი ხშირად ადამიანს მოუცლელს ხდის იმისათვის, რომ მათ დაემორჩილოს.

და კიდევ, ერთი აღმოსავლელი ბრძენის სიტყვებიც გავიხსენოთ: "ჭკვიანი ქალი მუდამ საკუთარ თავს უფრო მეტად ადევნებს თვალყურს, ვიდრე ქმარს".

**გახდით ჩვენი მკითხველი!**




## ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტები

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და მისი პირველი მოადგილე თამაზ ტატანაშვილი ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტებს შეხვდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აკრედიტებული უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან (91 - 100 ქულა), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დაღუპული კასპის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია ენიშნებათ.

სამუშაო ჯგუფის მიერ ამჯერად 13 სახელობითი სტიპენდიანტი გამოვლინდა, რომელთაც მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ დამსახურებული და ღირსეული ადამიანის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნა მიულოცა.

სტიპენდიის დაწესების მიზანი არამარტო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარჩინებულ სტუდენტთა წახალისება, არამედ იმ ადამიანთა უკვდავყოფა და პატივის მიგებაა, ვინც თავისი ცხოვრების წესით ეს დაიმსახურა. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ჩვენი თანამემამულე ტარიელ შარიფაშვილია, რომელმაც 33 წლის ასაკში სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას შეწირა. თქვენ ხართ წარმატებული ახალგაზრდები თანამედროვე ხედვით, ამიტომ კარგი იქნება თანამშრომლობა და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საინტერესო პროექტების წარმოდგენა — აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს ხელმძღვანელებს და სტიპენდიის მინიჭების სამუშაო ჯგუფს, ვინაიდან ბევრი მათგანი სწავლის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტში აპირებს დაბრუნებას, გამოთქვეს სურვილი მათთვის საინტერესო და მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო პროექტების მომავალში განხილვის შესახებ.

## აღმაშენებლის ქუჩაზე

ქალაქ კასპში აღმაშენებლის ქუჩაზე დაზიანებული გზის ასფალტის დაგების სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ დაათვალიერა.

ქუჩის ასფალტირება გზების მოვლა-პატრონობის ფარგლებში მიმდინარეობს. აღნიშნული გზა სახელმწიფო მნიშვნელობისაა და 700 გრძივ მეტრზე მოასფალტდება.

სამუშაოს გორის "№1 საგზაო სამშენებლო სამმართველო" ასრულებს.




## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი" იწყებს საინტერესო სურათების რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შექმნას.

თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში!

გამოგვიგზავნეთ განვლილი ცხოვრების ამსახველი, ისტორიის შემნახავი, წინაპრების ცხოვრების ამსახველი საინტერესო და სახალისო ფოტოები!

ერთად გავიხსენოთ წარსული.

**გამოიწერეთ გაზეთი „ახალი განთიადი"!**

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებით იუწყება მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ნოდარ ნატროშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

გაზეთი „ახალი განთიადი" მწუხარებით იუწყება მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის ნოდარ ნატროშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76